

მანანა შალამბერიძე

ტექნიკის აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
დალი სილაბაძე

ბიზნესის მართვის დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირების ფაქტორები და პირობები

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამის მიხედვით

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა განვითარებისათვის გეოგრაფიულად ხელშემწყობი პირობები არსებობს. ეს აიხსნება მთაგორიანი რელიეფით, მთიან რეგიონებში სახნავე მიწების მცირე ხვედრითი წილით, ნაკვეთების ვიწრო კონტურიანობით, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მრავალფეროვნებით, წარმოების მექანიზაციის სპეციფიურობით, რომელიც მორგებული უნდა იყოს ნაკვეთების კონფიგურაციას, მთიან რელიეფს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თავისებურებებს.

საქართველოს ზონალურად მკვეთრად განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში და შესაბამისად, სოფლის მეურნეობის გაძღოლის მკაცრად დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობის გამო, მთელ რიგ რაიონებში, განსაკუთრებით მთიან და მთისწინა ზონებში ფერმერული მეურნეობები მეტად ეფექტიანი და გამართლებულია.

ფერმერული მეურნეობის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი სპეციალიზაციის განსაზღვრას და სწორად განჭვრეტას. ეს კი მოითხოვს შემდეგი ფაქტორების შესწავლა-ფორმირებას:

1. ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
2. სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ფართობები (მიწებით უზრუნველყოფა და ხარისხი) და წყლით უზრუნველყოფა;

3. ქალაქებთან და სამრეწველო ცენტრებთან სიახლოვე. ასეთ დასახლებათა ახლოს შესაძლებელია მალფუჭებადი და ნაკლებტრანსპორტაბელური პროდუქტების წარმოება, რისთვისაც გასაღების ბაზარი გარანტირებულია;

4. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოთა სიახლოვე. ამის მხედველობაში მიღებით შეიძლება ვაწარმოთ ხილი, შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული, რძე, ხორცი და ა. შ. ეს ფაქტორი ხელს უწყობს წარმოების სპეციალიზაციის გადრმავებას, ბაზრის გაჯერების დონის ამაღლებას;

5. სატრანსპორტო პირობები და გზები, რამდენად შეუწყობს ხელს მალფუჭადი და ტრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოების ზრდასა და მათი დანაკარგების შემცირებას;

6. შრომითი რესურსები. მეურნეობის სპეციალიზაცია სხვა ფაქტორებთან ერთად

დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა იგი უზრუნველყოფილი კვალიფიციური და ტექნოლოგიის მცოდნე მუშახელით, კადრებით.

სამუშაო ძალით კარგად უზრუნველყოფილ მეურნეობებში განვითარებული უნდა იყოს ინტენსიური დარგები - მევენახეობა, მებოსტნეობა, მერძეული მესაქონლეობა და ა. შ. რომლებიც ცოცხალი შრომის დანახარჯებს მოითხოვენ.

სამუშაო ძალით ნაკლებად უზრუნველყოფილი მეურნეობები ირჩევენ ისეთ დარგებს, რომლებიც მცირე შრომით დანახარჯებს მოითხოვენ (მარცვლეული კულტურები, მეღორეობა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გამოზრდა და სუქება და ა. შ.).

წარმოების ოპტიმალური პირობების უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

1. მეურნეობის საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრა; 2. დარგთა რაციონალური შეთანაწყობა, რამაც უნდა უზრუნველყოს რენტაბელობის ოპტიმალური დონე, რისთვისაც გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგიონში ამა თუ იმ დარგის განვითარების და გაძღოლის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციები და დაგროვილი გამოცდილება, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანისა და პირუტყვის შენახვის ახალი ტექნოლოგიები და სხვა აუცილებელი ფაქტორები.

შესაძლოა ფერმერმა სრულიად ახალი და ალტერნატიული გადაწყვეტილებები მიიღოს, რომელიც არანაკლები ეფექტის მომტანი იქნება, ვიდრე ადრე, გამართლებულად მიჩნეული მიმართულებების გამოყენება.

აქედან გამომდინარე, საჭიროა კონცენტრაცია და ორიენტაციის აღება იმ საქონლის წარმოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკონომიკურ უპირატესობას და შესაბამისად, მეურნეობის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

ფერმერულ მეურნეობას შეუძლია დაადგინოს სპეციალიზაციის დონე (კოეფიციენტი) შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$k_n = \frac{100}{\sum b_{\varphi} (2x_n - 1)}$$

სადაც k_n - არის სპეციალიზაციის კოეფიციენტი;

b_{φ} - ცალკეული დარგის (კულტურის, პროდუქციის) ხვედრითი წონა მეურნეობის მთლიან სასაქონლო პროდუქციაში;

n - სასაქონლო პროდუქციის ხვედრითი წონის რიგითი ნომერი (მისი სიდიდის რიგის მიხედვით);

\sum - ჯამის აღმნიშვნელია.

როგორც წესი, ფერმერული მეურნეობის სიდიდის ძირითად მაჩვენებლად მიღებულია წარმოებული საერთო პროდუქციის მოცულობა ფულად გამოხატულებაში, ხოლო არაპირდაპირი მაჩვენებლებია: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების და კულტურების ფართობები, პირუტყვის სულადობა.

ფერმერული მეურნეობების სიდიდეზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები, საწარმოო და შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობის დონე, ამას გარდა, მასზე გავლენას ახდენს:

- მეურნეობის საწარმოო მიმართულება (სპეციალიზაცია);
- წარმოების ორგანიზაციისა და მართვის (მენეჯმენტის) დონე;
- ტექნოლოგიური უზრუნველყოფა;
- დასახლებული პუნქტების განლაგება და სიახლოვე;
- ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების კვალიფიკაცია;
- კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, გზების მდგომარეობა.

ფერმერული მეურნეობა უნდა იყოს არა მსხვილი, არამედ ოპტიმალური სიდიდის, რომელიც საშუალებას მისცემს ფერმერს ეფექტიანად გამოიყენოს მიწა, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და შრომითი რესურსები, უზრუნველყოს მომგებიანი საქმიანობა.

იმერეთის რეგიონში ერთ-ერთი წამყვანი დარგია მებოსტნეობა, თუმცა საგნობრივი ყურადღება უნდა მიექცეს ფერმერულ (ოჯახურ) მეურნეობებში ფრინველის რაოდენობის და კვერცხის წარმოების ზრდას, ასევე ფუტკრის ოჯახების რაოდენობის და თაფლის წარმოების გაზრდას.

როგორც ცნობილია, ქართული მწვანილი წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების 11 სოფელში 362 ჰა გადახურულ სათბურებში 5000-მდე წვრილ ფერმერებს მოჰყავთ ნოემბრიდან მაისამდე. მწვანილის მწარმოებელი ფერმერების სასათბურე მეურნეობები 1 ჰა-ს არ აჭარბებს. მათ არ გააჩნიათ საკმარისი მატერიალური რესურსები ექსპორტის დამოუკიდებლად განსახორციელებლად. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ აღმოცენდა 120-მდე ე. წ. კონსოლიდატორი (კონსოლიდატორთა რიცხვი ყოველწლიურად იცვლება. თუ ერთი წლის შემდეგ ერთი მოთამაშე ბაზრიდან წარმატებული გამოდის, სხვა მოთამაშეები იკავებენ მის ადგილს და ა.შ. არსებობს 15-მდე კონსოლიდატორი, რომლებიც სავაჭრო ბრუნვის სიდიდისა და დაგროვილი გამოცდილების გამო ბაზარზე მუდმივად დარჩენას ახერხებს), რომლებიც მწვანილს გლეხებისაგან აგროვებენ ანგარიშსწორების ორკვირიანი განვადების საფუძველზე, საგანგებოდ დაქირავებული ხალხის მეშვეობით მწვანილს ფუთავენ, ტვირთავენ სატრანსპორტო საშუალებებზე და უშვებენ უკრაინაში, სადაც ტვირთს მათი წარმომადგენელი (ძირითადად ოჯახის წევრი ან ახლო მეგობარი) ელოდება, რომელიც პროდუქციას საიმპორტო განბაჟებას უკეთებს, ასაწობებს და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული კლიენტების ქსელის მეშვეობით ტვირთის შემდგომ რეალიზაციას ახორციელებს.

პროექტ AGVANACE-ის მიერ 2006 წლის დეკემბერსა და 2007 წლის იანვარში დაფიქსირებული იქნა საკმაოდ პარადოქსული სხვაობა ფერმერულ შესასყიდ ფასსა და უკრაინაში გასაყიდ ფასს შორის. კონსოლიდატორები სამი კვირის განმავლობაში უკრაინაში აგზავნიდნენ მწვანილს, რომელიც საშუალოდ 1,5-2,0 დოლარით მეტი ღირდა (თვითღირებულება) ბაზარზე არსებული მწვანილის ფასზე. მიუხედავად ამისა, რიგი შემგროვებლებისა მაინც ყიდულობდა მწვანილს არასაბაზრო ფასად. დაფიქსირდა შემთხვევებიც, როდესაც ერთმა შემგროვებელმა მწვანილი გლეხებისაგან 10 ლარად შეიძინა და ადგილზევე იმავე დღეს 8 ლარად გაყიდა (პროექტის ანალიტიკოსების აზრით, იმისათვის რომ ქართული მწვანილის შესასყიდი ფასი ბაზარზე გაეზარდა).

ფაქტების მოძიების შედეგად, გამართლდა ქართველი მემწვანილეების ეჭვი, რომ უზბეკეთში გადახვეწილმა ყოფილმა ქართველმა კონსოლიდატორებმა, რომლებიც თავიანთ უკარაინელ

წარმომადგენლებს უზბეკეთიდან უგზავნიდნენ იაფ მწვანილს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ხელოვნურად გაზარდეს მოთხოვნა მწვანილზე და არარეალური მაღალი შესასყიდი ფასის მეშვეობით გააძვირეს ქართული პროდუქცია, რამაც გააჩუქა ქართული ნაწარმის კონკურენტუნარიანობა. უზბეკური მწვანილი კი მეტად მაღალი მარკით გაიყიდა და რეალიზატორებს დიდი მოგება დარჩათ ქართველი ექსპორტიორების დაკნინების და ბაზრიდან გამოდევნის ხარჯზე. ამგვარი მდგომარეობა კი ბუნებრივია არც თუ გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მეზოსტენობის განვითარებას.

ხემოთაღნიშნული ფაქტები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ქართული მწვანილის 20 მილიონიანი დოლარის ინდუსტრია განადგურების საფრთხის წინაშე დგას, ამაში დამნაშავე მხოლოდ ის ობიექტური ფაქტორებია, რომელიც მთლიანად ამ ინდუსტრიაში ამინდს ქმნის როგორც საქართველოში, ასევე უკრაინასა და უზბეკეთში, სადაც ქართული მწვანილის კონკურენტი პროდუქცია იწარმოება.

მთლიანი სექტორის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად აუცილებელია, რომ ექსპორტიორებმა საკუთარი წარმოებისათვის მინიმუმ 50 ჰა სათბურის ააგონ (8 მილიონი დოლარის ინვესტიცია), რომლის შემდეგაც ექსპორტირებული ქართული მწვანილის თვითღირებულება “კონკურენტუნარიანობის ზოლის” ფარგლებში მოექცევა.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტიპის სათბურები 40 ტ/ჰა მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა, ნაცვლად არსებული 15 ტ/ჰა მოსავლისა.

დღესდღეობით იმერეთის რეგიონში, სოფელ ქვიტირში თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ახლად აშენებული მწვანილის მიმღები და შესაფუთი ცენტრი, შპს “ქართული მწვანილი” სეზონზე მოსახლეობისაგან 1400 ტონა მწვანილს იბარებს.

ცენტრი აღჭურვილია მწვანილის სწრაფგაციების თანამედროვე დანადგარებითა და ცივი ოთახებით, რომელიც მწვანილის შენახვის ვადას 2-3 კვირით ახანგრძლივებს და მოგებას 30%-ით ზრდის. თანამედროვე დანადგარების საშუალებით გაციებული მწვანილი 1,6 კგ მუყაოს ყუთებში იფუთება. თითოეულ ყუთში თავსდება ოცი 80 გრამიანი მწვანილის კონა. კონები იკვრება სპეციალური ეტიკეტით, რომელზეც გამოსახულია კომპანიის ლოგო, საკონტაქტო რეკვიზიტები და პროდუქციის შტრიხკოდები. ამგვარი შეფუთვა მწვანილს გაცილებით კონკურენტუნარიანს ხდის, რაც აადვილებს ევროპის მარალსეგმენტიან ბაზარზე მის დამკვიდრებას.

რაც შეეხება ფრინველის რაოდენობას და კვერცხის წარმოებას, ფუტკრის ოჯახების რაოდენობისა და თაფლის წარმოებას, მასზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი 1-ლი ცხრილი.

ცხრილი 1

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წამოება იმერეთის რეგიონში

		ზომის ერთეული	2009	2010
1.	სიმინდი	ათ. ტ	95,4	44,8
2.	ლობიო	ათ. ტ	2,2	0,4
3.	ბოსტნეული	ათ. ტ	14,0	17,9

4.	ბაღჩეული	ათ. ტ	12,6	9,0
5.	ხილი: 1. თესლოვანი	ათ. ტ	17,4	21,4
	2. კურკოვანი	ათ. ტ	4,2	6,1
	3. კაკლოვანი	ათ. ტ	3,0	5,9
	4. სუბტროპიკული	ათ. ტ	5,3	4,0
	5. კენკროვანი	ათ. ტ	4,8	5,3
		ათ. ტ	0,1	0,1
6.	ყურძენი	ათ. ტ	30,3	25,0
7.	ჩაი	ათ. ტ	0,3	0,0
8.	ხორცის წარმოება	ათ. ტ	12,7	12,7
9.	რძის წარმოება	ათ. ტ	112,4	111,2
10.	კვერცხის წარმოება	მილნ. ცალი	39,0	35,1
11.	თაფლის წარმოება	ათ. ტ	0,8	0,3

ამ მონაცემებიდან ნათლად იკვეთება, რომ 2009 წელთან შედარებით რეგიონში შემცირდა სიმინდის, ლობოს წარმოება, რაც გამოწვეულია ფართობების შემცირებით ან დაუმუშავებელი ფართობებით, რადგან მიწის წვრილმესაკუთრენი მარტონი აღმოჩნდნენ მათთვის გადაუღახავი პრობლემის წინაშე. მათ ხელი არ მიუწვდებოდა მეურნეობის განვითარებისათვის საჭირო კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთის გამო. ამ მიზეზით ვერ იძენენ საჭირო მანქანა-იარაღებს და პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო სხვა რესურსებს, რაც ასე აუცილებელია შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და მეურნეობის რენტაბელურად წარმართვისათვის.

ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ფერმერებს და პერსპექტივაში რეკომენდაცია უნდა მიეცეს ფერმერულ მეურნეობათა ოპტიმალური სიდიდისა და წარმოების მასშტაბებს.